

ბიზნესის დამწყებთა გზამკვლევი



2017, თბილისი

გზამკვლევი წარმოადგენს საქართველოში ბიზნესის დაწყების (ემიგრანტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთათვის) ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამებისა და სხვა შესაძლებლობების შესახებ პრაქტიკულ, პოპულარულ ენაზე მომზადებულ სახელმძღვანელოს.

მომზადდა ნოუ ჰაუ ტრენინგ ცენტრის მიერ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დაკვეთითა და მხარდაჭერით,

ოთარ ანთიასა (MBA, PhD candidate, მკვლევარი, ტრენერი) და დავით დარსაველიძის (PhD, MPA, მკვლევარი, ტრენერი) ერთობლივი ძალისხმევით.

აღნიშნული პუბლიკაცია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ განხორციელებული ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე პროექტის: „კვლევაზე დაფუძნებული ადვოკატირების, ცნობიერების ამაღლების, ქსელური თანამშრომლობის და ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებით მიგრაციის მართვის პოპულარიზაცია საქართველოში“ ფარგლებში მომზადებული პროდუქტების სერიის ნაწილია.

პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები შესაძლოა არ წარმოადგენდეს ევროკავშირისა თუ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პოზიციას.

The publication is part of the series produced within the EU-funded project, implemented by the Georgian Young Lawyers' Association (GYLA): Promoting Migration Management in Georgia through Research-based Advocacy, Awareness, Networking and Use of Technologies. The views of the publication might not necessarily represent those of the EU or GYLA.

27 მარტი, 2017, ქ. თბილისი



ბიზნესის დაწყება გნებავთ?

და ინტერესდებით პასუხით კითხვებზე:

- როგორ ხდება მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა?
- როგორია გადასახადები და შეღავათები?
- რა ტიპის ლიცენზიები და ნებართვები მოქმედებს?
- რა პროგრამებით ეხმარება სახელმწიფო ბიზნესს?
- სად შეიძლება ქართული პროდუქციის გაყიდვა საზღვარგარეთ სასურველი სავაჭრო პირობებით?
- როგორ ვაქციოთ კრეატიული იდეები ბიზნესად?
- როგორ და სად დავარეგისტრიროთ ბიზნესი?
- რომელ ორგანიზაციებს შეიძლება მივმართოთ ბიზნეს სერვისების მისაღებად?
- ბიზნესის ხელშემწყობი რომელი სახელმწიფო პროგრამებით შეიძლება ვისარგებლოთ?
- როგორ მივიღოთ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში?

ამ გზამკვლევაში სწორედ ამ და სხვა მსგავსი კითხვების პასუხებზე ვისაუბრებთ.

შინაარსი:

შესავალი	5
გადასახადები და შეღავათები:.....	6
გადასახადები	6
სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები და საგადასახადო შეღავათები	6
⇒ მიკრო ბიზნესი:	6
⇒ მცირე ბიზნესი:.....	7
⇒ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი:	8
⇒ საგადასახადო შეღავათები:.....	8
ლიცენზიები და ნებართვები.....	10
საგარეო ვაჭრობის შესაძლებლობები:.....	11
მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები.....	12
მეწარმეობის განვითარების სააგენტო:	12
საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო:.....	12
მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერის ბიზნეს ასოციაციები	13
ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფოს ინიციატივები	14
1. სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტოს პროექტები	14
⇒ „სახელმწიფო პროგრამა“ აწარმოე საქართველოში:.....	14
⇒ „უმასპინძლე საქართველოში“	15
⇒ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიმართულება	15
2. ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“	16
⇒ დანერგე მომავალი	16
⇒ აგროდაზღვევა 2016	17
⇒ შეღავათიანი აგრო კრედიტი	17
⇒ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების პროექტი	18
3. სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“	18
⇒ სახელმწიფო პროგრამა „სტარტაპ საქართველო“	19
სად დავარეგისტრიროთ საწარმო?	20
როგორ მივიღოთ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში?	21
როგორ ვიყიდოთ სახელმწიფოსგან უძრავ-მოძრავი ქონება?	21

შესავალი

თუ თქვენ განიხილავთ ბიზნესის დაწყების შესაძლებლობებს, ეს გზამკვლევი სწორედ თქვენთვისაა განკუთვნილი. მისი საშუალებით თქვენ შეძლებთ გაიგოთ თუ როგორ ეხმარება სახელმწიფო დაინტერესებულ პირებს ბიზნესის დაწყებასა და განვითარებაში; როგორი გადასახადები მოქმედებს; რა შესაძლებლობებია საგარეო ვაჭრობის კუთხით; რომელმა ორგანიზაციებმა შეიძლება დახმარება აღმოგვიჩინონ ბიზნესის კეთებისას, რომელი სახელმწიფო პროგრამით/პროექტით შეგვიძლია ვისარგებლოთ, როგორ დავარეგისტროროთ ბიზნესი და სხვა მრავალი პრაქტიკულად გამოყენებადი ინფორმაცია.

კერძო სექტორი და განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობას და მის ინკლუზიურ განვითარებას. სამეწარმეო სექტორი არის ზუსტად ის სეგმენტი, რომელიც ხელს უწყობს, ქვეყანაში თანამედროვე ბიზნეს პრაქტიკების დანერგვას და ახალი შესაძლებლობების განვითარებას.

უკანასკნელ ათწლეულში, საქართველოში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმა. რეფორმამ ხელი შეუწყო არამარტო ზოგადი ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, არამედ კონკრეტული ბიზნესის დაწყებისა და გაფართოვების საზღვარგარეთ აპრობირებული მექანიზმების შემოტანას, ადაპტირებას და დანერგვას, რითაც შეუძლია ისარგებლოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ. გაუმჯობესდა და გამარტივდა **ფინანსებზე წვდობა, კრეატიული იდეების კომერციალიზაციის** (იდეის გაყიდვად პროდუქტად ქცევა) პროცესი, სამეწარმეო ცოდნის მოზიდვისა და ბიზნეს უნარ-ჩვევების განვითარების მიზნის პრაქტიკულ **კონსულტაციებსა და ტრენინგებზე ხელმისაწვდომობა**, ახალი შესაძლებლობები გაჩნდა **საერთაშორისო მასშტაბით ვაჭრობისა და ექსპორტის ხელშეწყობის** კუთხით.

ეკონომიკის ლიბერალიზაცია, გადასახადების შემცირება, შეღავათების დაწესება ადმინისტრაციული და საგადასახადო ბარიერების შემცირება მნიშვნელოვნად ემსახურება ქვეყანაში კერძო სექტორის პოტენციალის მაქსიმალურ უტილიზაციას. უკანასკნელი წლების განმავლობაში ქვეყნის ბიზნესს გარემოს გაუმჯობესების კუთხით საქართველომ დადებითი შეფასება მოიპოვა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებისა და საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან. მსგავსი ბიზნესს გარემო ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციის შემოდიანებისთვის და ადგილობრივი ბიზნესს წრეების საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობებს ქმნის. შედეგად, უფრო მეტად იზრდება საზღვარგარეთ ქართული დიასპორებისა და ემიგრანტების დაინტერესება და მათი საქართველოში ბიზნეს საქმიანობის შესაძლებლობები.

საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მცირე და საშუალო სამეწარმეო სეგმენტის განვითარებას. ქვეყნის კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, კერძოდ კი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პრიორიტეტი კარგად ჩანს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ სტრატეგიაში - საქართველო 2020.

შესაბამისად, თითოეული მეწარმის ინიციატივა უაღრესად მნიშვნელოვანია. თუ თქვენ გაგაჩნიათ იდეა და გსურთ მისი განხორციელება შეგიძლიათ გამოიყენოთ სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული არაერთი სერვისი.

გადასახადები და შეღავათები:

გადასახადები

საქართველოში, სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით გადასახადების რაოდენობა და განაკვეთები საგრძნობლად შემცირდა უკანასკნელი წლების განმავლობაში. გავლენიანი საერთაშორისო ინდექსების მიხედვით საქართველო უკვე წამყვან პოზიციებს იკავებს საგადასახადო ტვირთის სიმცირის მიხედვით ყატარის, არაბთა გაერთიანებული საემიროების და ჰონგ-კონგის შემდეგ. დღეის მდგომარეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედებს 6 გადასახადი ნაცვლად 2006 წელს არსებული 21 გადასახადისა.

გადასახადი	განაკვეთი
მოგების	15%
გაუნაწილებელი მოგება	0%
საშემოსავლო	20%
დღგ	18%
იმპორტის	0%/5%/12%
ქონების	<1%
დივიდენდის	5%

სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები და საგადასახადო შეღავათები

გარდა ამისა, მიკრო და მცირე დონის სამეწარმეო საქმიანობის წახალისებისთვის არსებობს სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები¹:

⇒ მიკრო ბიზნესი:

ვის ეხება:

აღნიშნული სტატუსი ვრცელდება იმ ფიზიკურ პირებზე, რომლებიც დამოუკიდებლად ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას და:

- მათი ჯამური ერთობლივი შემოსავალი (საქონლისა და მომსახურების გაყიდვით მიღებული თანხის ოდენობა) არ აღემატება 30,000 ლარს (კალენდარული წლის განმავლობაში);
- არ იყენებენ დაქირავებულ მუშა ხელს;
- მათი სასაქონლო-მატერიალური მარაგების (მასალებს, მზა პროდუქცია, დაუმთავრებელი წარმოება) ნაშთი არ აღემატება 45,000 ლარს;
- არ არიან დღგ-ს გადამხდელები.

¹ წყარო: საქართველოს საგადასახადო კოდექსი

რა უპირატესობები აქვს:

- მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან;
- მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი გათავისუფლებულია საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისგან.

როგორ უნდა მიიღო აღნიშნული სტატუსი:

მიკრო მეწარმის სტატუსის მიღების მსურველმა ფიზიკურმა პირმა უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს, საცხოვრებელი ან საგადასახადო აღრიცხვის მიხედვით.

⇒ მცირე ბიზნესი:

ვის ეხება:

აღნიშნული სტატუსის მინიჭება ხდება იმ ფიზიკურ პირებზე, რომლებიც:

- ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მცირე ბიზნესის სტატუსისთვის განსაზღვრულ საქმიანობას;
- მის მიერ მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100,000 ლარს;
- სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთი არ აღემატება 150,000 ლარს;
- არ ფიქსირდება დღგ-ს გადამხდელად;

რა უპირატესობები აქვს:

- მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის შემოსავალი იბეგრება 5% - ით;
- აღნიშნული სტატუსის მქონე ფიზიკური პირის შემოსავალი იბეგრება მხოლოდ 3%-ით იმ შემთხვევაში თუ, თუ მეწარმეს აქვს გაწეული ხარჯების (გარდა ხელფასისა) 60%-ის დოკუმენტირებულად დადასტურების შესაძლებლობა;
- მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეს ანალოგიურად არ ევალება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება:
 - კალენდარული წლის განმავლობაში ერთობლივი შემოსავლის 25% - ის ფარგლებში გაცემული ხელფასის ხარჯზე;
 - მიღებული მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში.
 - როგორ უნდა მიიღო აღნიშნული სტატუსი:

როგორ უნდა მიიღო აღნიშნული სტატუსი:

მიკრო მეწარმის სტატუსის მიღების მსურველმა ფიზიკურმა პირმა უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს, საცხოვრებელი ან საგადასახადო აღრიცხვის მიხედვით.

⇒ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი:

ვის ეხება:

აღნიშნული სტატუსის მინიჭება ხდება იმ ფიზიკურ პირებზე, რომლებიც:

- ახორციელებენ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსითვის განსაზღვრულ ეკონომიკურ აქტივობას;
- გარდა სტატუსით განსაზღვრული საქმიანობისა, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე მეწარმეს შეუძლია საქართველოს მთავრობის მიერ ნებადართული საქმიანობების პარალელურ რეჟიმში განხორციელება;
- არ ფიქსირდება დღგ-ის გადამხდელად;

რა უპირატესობები აქვს:

- აღნიშნული სტატუსის მქონე მეწარმე არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით, თუმცა მისთვის განსაზღვრული ყოველთვიური ფიქსირებული გადასახადი:
 - დაბეგვრის ობიექტზე: 1 ლარიდან 2000 ლარამდე
 - დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 3%.

როგორ უნდა მიიღო აღნიშნული სტატუსი:

- მიკრო მეწარმის სტატუსის მიღების მსურველმა ფიზიკურმა პირმა უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს, საცხოვრებელი ან საგადასახადო აღრიცხვის მიხედვით.

⇒ საგადასახადო შეღავათები:

ცალკეულ გეოგრაფიულ არეალში ბიზნესის განვითარების სტიმულირებისა და დამატებითი უცხოური ინვესტიციის მოზიდვის მიზნით ქვეყანაში მოქმედებს რიგი საგადასახადო შეღავათებისა:

მაღალმთიანი დასახლებული პუნქტებისთვის არსებული შეღავათები²:

მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სტიმულირების მიზნით 2015 წელს შემუშავდა კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“.

ვის ეხება:

აღნიშნული ინიციატივა ეხება იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე დასახლებაში³

რა უპირატესობები აქვს:

- მაღალმთიანი სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან სტატუსის მიღებიდან 10 წლის განმავლობაში;
- მაღალმთიანი სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან სტატუსის მიღებიდან 10 წლის განმავლობაში;

² რეგულირდება საქართველოს კანონით „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“

- მაღალმთიანი სტატუსის მქონე საწარმოს საკუთრებაში არსებული ქონება 10 წლის განმავლობაში გათავისუფლებულია ქონების გადასახადისგან;

როგორ უნდა მიიღო აღნიშნული სტატუსი:

1. ფიზიკური პირისთვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით უნდა მიმართოთ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს. აუცილებელია, რომ სტატუსის მიმღების მიერ ხდებოდეს შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილება:
 - არის საქართველოს მოქალაქე;
 - რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში;
 - ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრობს აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალში⁴
2. მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მისაღებად უნდა მიმართოთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურს სპეციალური განაცხადით⁵. აღნიშნული განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - პირის სარეგისტრაციო მონაცემებს (საიდენტიფიკაციო ნომერი, სახელწოდება, მისამართი);
 - საქმიანობის მოკლე აღწერას;

თავისუფალი ინდუსტრიული ზონები:

გარდა ზემოაღნიშნულისა საქართველოს ტერიტორიაზე ასევე მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული არეალი, რომელზეც ვრცელდება სპეციალური ეკონომიკური და სამართლებრივი რეჟიმები.

აღნიშნულ ზონაში დარეგისტრირებული ბიზნესი:

- გათავისუფლებულია ყველა გადასახადისგან გარდა საშემოსავლო გადასახადისა (დაქირავებული მუშა ხელის ანაზღაურება).
- გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისგან ზონაში შეტანილ უცხოურ საქონელზე;
- ცალკეული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში გათავისუფლებულია ლიცენზიის/ნებართვის აღების ვალდებულებისაგან ან სარგებლობს მათი მიღების გამარტივებული წესით;
- ზონის შიგნით წარმოებული პროდუქციის საქართველოს სხვა ტერიტორიაზე შეტანის (იმპორტის) შემთხვევაში გათავისუფლებულია იმპორტის გადასახადისგან;

დღეის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედებს 4 თავისუფალი ინდუსტრიული ზონა:

- ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა - რომლის ოპერირებას ახორციელებს Rakia Georgia FIZ LLC (<http://www.potifreezone.ge/>);
- ქუთაისის თიზ (1) - Fresh Georgia LLC (<http://www.freshgeorgia.com/>);
- ქუთაისის თიზ (2) - Hualing Group (<http://hualing.ge/>);
- თბილისის თიზ - Tbilisi Free Zone LLC (<http://www.tfz.ge/>).

⁵ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის N633 დადგენილება „მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“

ლიცენზიები და ნებართვები

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გამარტივდა ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის წესი, აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტი, რომ მათი რაოდენობა დაახლოებით 90% - ით შემცირდა. ლიცენზირებას ექვემდებარება უმთავრესად მაღალრისკიანი პროდუქციის წარმოება, ასევე, ბუნებრივი რესურსების გამოყენება და ზოგიერთი სპეციფიკური საქმიანობის განხორციელება. ლიცენზიებისა და ნებართვების სხვადასხვა სახეები არსებობს, შესაბამისად, განსხვავდება მოსაკრებლების ოდენობა.

ლიცენზიებისა და ნებართვების დეტალური ნუსხა მოცემულია საქართველოს კანონში „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“. რაც შეეხება მოსაკრებლის ოდენობას და საფასურს, ის დარეგულირებულია სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმებით. მაგალითად, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შემთხვევაში საქართველოს კანონით „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“. აღნიშნული კანონები უფასოდ ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, ვებ-გვერდზე: matsne.gov.ge

ლიცენზიებსა და ნებართვებს გასცემს თვითმმართველობა, ან სახელმწიფო ორგანი: რელევანტური სამინისტრო, სააგენტო.

გარკვეულ შემთხვევებში საქმიანობის მასშტაბიდან გამომდინარე ნებართვას გასცემს სხვადასხვა ორგანო, მაგალითად, ნებართვას II და III, IV⁶ კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე გასცემს თვითმმართველობა, V კლასის შენობა-ნაგებობებზე კი ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული შესაბამისი სახელმწიფო უწყება⁷. ზოგ შემთხვევაში საჭიროა რამდენიმე სამინისტროს მონაწილეობაც, მაგალითად გარემოსა და ბუნებრივი რესურსები დაცვის სამინისტრო, თუმცა პროცედურა გაადვილებულია ერთი სარკმლის პრინციპის ამოქმედების შედეგად. საკმაოდ წარმატებით დაინერგა „ერთი სარკმლის პრინციპი“. რაც გულისხმობს, რომ ნებართვის მსურველი ერთ უწყებას მიმართავს ნებართვის მიღების მოთხოვნით და აბარებს შესაბამის საბუთებს, აღნიშნული უწყება ყველა სხვა საჭირო სახელმწიფო უწყებიდან თავად იღებს ნებართვის გაცემაზე საჭირო ინფორმაციას და ნებართვის მაძიებელს უზრუნველყოფს ლიცენზიით ან დასაბუთებული უარით.

⁶ IV კლასზე თვითმმართველობა ათანხმებს

⁷ №57 მთავრობის დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“

საგარეო ვაჭრობის შესაძლებლობები:

საქართველოში საგარეო ვაჭრობის მიმართულებით ახასიათებს მზარდი და პოზიტიური ტენდენცია. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საგარეო სავაჭრო ბრუნვა დაახლოებით 4.6-ჯერ გაიზარდა. აღნიშნული გამოწვეულია ქვეყნის ლიბერალური საბაჟო პოლიტიკითა და მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით.

საბაჟო პოლიტიკა:

საქართველოში არსებული საბაჟო პოლიტიკა არის ერთ-ერთი ყველა მოქნილი მსოფლიოს მასშტაბით საბაჟო გამშვებ პუნქტებზე დადგენილი პროცედურების სიმარტივიდან გამომდინარე. დღეის მდგომარეობით პროდუქციის 85%-მდე გათავისუფლებულია იმპორტის ტარიფისგან. იმპორტის ტარიფი ვრცელდება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე და რამდენიმე დასახელების ინდუსტრიულ საქონელზე. აღნიშნული ნუსხა შეგიძლიათ იხილოთ: შემდეგ მისამართზე: <http://www.rs.ge/4829>

საგარეო ვაჭრობის შესაძლებლობები:

ქვეყნის საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული პოტენციური მკვეთრად გაიზარდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან, მას შემდეგ რაც ძალაში შევიდა DCFTA, რამაც ხელი შეუწყო საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ტარიფების გარეშე ვაჭრობას.

დღეის მდგომარეობით, საგარეო ვაჭრობის მიმართულებით, საქართველოს გააჩნია:

- თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (CIS) წევრ ქვეყნებთან;
- თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება თურქეთთან;
- უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წევრ ქვეყნებთან;
- პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა აშშ-სთან, კანადასთან, იაპონიასთან, შვეიცარიასა და ნორვეგიასთან;
- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (DCFTA) ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან.

საერთო ჯამში, საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები აქვს მსოფლიოს არანაკლებ 900,000,000 - იან სამომხმარებლო ბაზზარზე.

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები

მეწარმეობის განვითარების სააგენტო:

სააგენტო 2014 წელს შეიქმნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტრუქტურაში. სააგენტო მიზნად ისახავს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ღონისძიებები მიმართულია დამწყები და არსებული ბიზნესის მხარდაჭერისა და ქვეყანაში თანამედროვე ბიზნეს პრაქტიკების დანერგვის მიმართულებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა სააგენტო ასევე აქტიურად მუშაობს საქართველოში მოქმედი კომერციული საქმიანი ორგანიზაციებისთვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევას, აუცილებელი მოთხოვნებისა და ვალდებულებების თაობაზე ინფორმაციის აკუმულაცია და მიწოდება.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო:

ორგანიზაციის მანდატია ცოდნასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარება. სააგენტოს ძირითად ამოცანას წარმოადგენს:

- ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნის და მისი შემდგომი განვითარება;
- ინოვაციების, თანამედროვე ტექნოლოგიების, კვლევისა და განვითარების (R&D) სტიმულირება, მათი კომერციალიზაციის და გამოყენების ხელშეწყობა;
- ინოვაციური დამწყები კომპანიების (start-up) ფორმირების და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა;
- სამეცნიერო და ბიზნეს წრეებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობა;
- მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის განვითარების და მისი გამოყენების ეფექტურობის ამაღლების ხელშეწყობა და ა.შ.

სააგენტოს ფუნქციებს შორისაა: ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი უნარებისა და შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა; თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვით მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაძლიერების ხელშეწყობა; ინოვაციებისა და R&D-ისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება; ცოდნაზე დაფუძნებული ინიციატივების, ინოვაციური პროექტებისა და პროდუქტების მხარდაჭერა; საწარმოებისთვის კვლევისა და განვითარების მასტიმულირებელი პროგრამების განხორციელება; ქვეყნის მთელი ტერიტორიის დაფარვა მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით; საყოველთაო კომპიუტერიზაციის პროცესის წარმართვა და ა.შ.

გამომდინარე იქედან, რომ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი მიმართულება კომპანიებისთვის DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციის ხელშეწყობაა, მნიშვნელოვანია ამ სტრუქტურის შესაძლებლობების გაძლიერება DCFTA-თან დაკავშირებულ საკითხებზე.

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერის ბიზნეს ასოციაციები

საქართველოში მოქმედებს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერის რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის:

- **საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა:** ორგანიზაციის მთავარი ფუნქციებია: ბიზნესებისთვის საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა; ბიზნეს უნარების და ბიზნესის დაგეგმვის გაუმჯობესების ხელშეწყობა; ექსპორტის განვითარების ხელშეწყობა; საწარმოების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და სხვა. პალატის წევრობა ნებაყოფლობითია. პალატის წევრების 90%-მდე წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესს სექტორს.
- **საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია:** ასოციაცია აერთიანებს დამოუკიდებელ მეწარმე სუბიექტებს, დაახლოებით 1 000 - მდე მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელს. ასოციაცია, მცირე და საშუალო კომპანიებს აღმოუჩენს საკონსულტაციო მომსახურება, ასევე სხვადასხვა პროგრამას სამეწარმეო ცოდნის, სამეწარმეო უნარების განვითარებისთვის. ასოციაციის წევრობა ფასიანია და დამოკიდებულია საწარმოს ზომაზე.
- **საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია:** წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომლის მიზანია მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერესების დაცვა და ადვოკატირება. ასოციაციას დღეისთვის აერთიანებს 106 წევრს.

ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო ინიციატივები

კომერციული ბანკების მიერ გაცემულ ბიზნეს სესხებზე არსებული საპროცენტო განაკვეთებით გამოწვეული ტვირთის შესამსუბუქებლად ბიზნესების შემდგომი განვითარების მხარდაჭერა სხვადასხვა სახელმწიფო ინიციატივებით.

1. სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტოს პროექტები

სააგენტოს ქვემოთ მოცემული პროექტებით სარგებლობისთვის დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ გაეცნოთ ვებ-გვერდს: qartuli.ge ან

დაუკავშირდეთ ცხელ ხაზზე: 299 10 44/ 299 11 28, ან

მიწეროთ ელ-ფოსტაზე: info@enterprise.gov.ge

⇒ „სახელმწიფო პროგრამა“ აწარმოე საქართველოში:

პროექტის მიზანი:

საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე-სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა ფინანსებზე და ტექნიკურ მხარდაჭერაზე ხელმისაწვდომობის გზით

ვინ შეიძლება ისარგებლოს:

- საქართველოში დაფუძნებული იურიდიული პირი, გარდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებისა;
- ახორციელებს პროგრამით განსაზღვრული პრიორიტეტული პროდუქტების წარმოებას, პრიორიტეტები მოიცავს: სამშენებლო მასალების წარმოება; მანქანათმშენებლობა; რეზინისა და პლასტმასის გადამამუშავება; ქაღალდისა და მუყაოს წარმოება; საფეიქრო წარმოება; ფარმაცევტიკა; ხის გადამამუშავება; ელ. მოწყობილობების წარმოება; საკვები პროდუქტების წარმოება; ლითონის ნაწარმი; მინერალური წყლების წარმოება; ქიმიური მრეწველობა; ბიტუმოვანი პროდუქტების წარმოება.

მხარდაჭერის მექანიზმი:

- კომერციული ბანკის მიერ დამტკიცებული სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება პირველი ორი წლის განმავლობაში წლიური 10%-ის ოდენობით;
- სესხის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობა სესხის თანხის 50% ოდენობით
- ლიზინგის ობიექტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება პირველი ორი წლის განმავლობაში წლიური 12% ოდენობით;
- პროექტის ეფექტურად განხორციელებისთვის აუცილებელი საკონსულტაციო მომსახურების თანადაფინანსება 10,000 ლარის ოდენობით.

⇒ „უმასპინძლე საქართველოში“

პროექტის მიზანი:

საქართველოში საშუალო და მაღალი სტანდარტების მქონე სასტუმრო ობიექტების განვითარება ბიზნესით დაინტერესებული მეწარმე სუბიექტების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გაწევის გზით

ვინ შეიძლება ისარგებლოს:

- საქართველოში დაფუძნებული იურიდიული პირი, გარდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებისა;
- სასტუმრო ობიექტი აკმაყოფილებს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.

მხარდაჭერის მექანიზმი:

- კომერციული ბანკის მიერ დამტკიცებული სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება პირველი ორი წლის განმავლობაში წლიური 10% ოდენობით;
- სესხის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობა სესხის თანხის 50%-ის ოდენობით;
- ქვეყანაში საერთაშორისო ბრენდის შემოყვანის შემთხვევაში franchise/management კონტრაქტით გათვალისწინებული გადასახადების თანადაფინანსება პირველი ორი წლის განმავლობაში წლიური 300,000 ლარის ოდენობით;
- პროექტის ეფექტურად განხორციელებისთვის აუცილებელი საკონსულტაციო მომსახურების თანადაფინანსება 10,000 ლარის ოდენობით

⇒ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიმართულება

პროექტის მიზანი:

საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე ტიპის ბიზნეს საქმიანობების განვითარება ბიზნესისთვის აუცილებელი ფულადი რესურსისა და ტექნიკური მხარდაჭერის მიწოდების გზით.

ვინ შეიძლება ისარგებლოს:

- სრულწლოვანი საქართველოს მოქალაქე;
- ბიზნეს საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გარდა თბილისისა;
- ახორციელებს პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილი თანხის მინიმუმ 20% თანამონაწილეობას.

მხარდაჭერის მექანიზმი:

- ბიზნესის წამოწყებისთვის და/ან არსებულის გაფართოებისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსი გრანტის სახით:
 - 1 მეწარმე სუბიექტისთვის - 5,000 ლარი

- 2 მეწარმე სუბიექტის გაერთიანების შემთხვევაში - 10,000 ლარი
- 3 მეწარმე სუბიექტის გაერთიანების შემთხვევაში - 15,000 ლარი
- თანამედროვე ბიზნეს პრაქტიკებთან დაკავშირებული ცოდნის უსასყიდლოდ მიწოდება:
 - ტრენინგ-სემინარების მეშვეობით;
 - ინდივიდუალური კონსულტაციების მეშვეობით

2. ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

სააგენტოს ქვემოთ მოცემული პროექტებით სარგებლობისთვის დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ გაეცნოთ ვებ-გვერდს: apma.ge ან

დაუკავშირდეთ ცხელ ხაზზე: 1501, ან

მიწეროთ ელ-ფოსტაზე: info@apma.ge

⇒ დანერგე მომავალი

პროექტის მიზანი: საქართველოში არსებული სასოფლო სამეურნეო მიწების ეფექტური გამოყენება მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით და ქვეყანაში მაღალი ხარისხის სანერგე მასალების წარმოება.

ვინ შეიძლება ისარგებლოს:

- საქართველოს მოქალაქე სრულწლოვანი ფიზიკური პირი;
- საქართველოში დაფუძნებული საწარმო - მათ შორის რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. გარდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებისა.

მხარდაჭერის მექანიზმი:

1. ბაღების კომპონენტი:

- მრავალწლიანი კულტურების ნერგების შეძენის და ასევე სარწყავი სისტემების მოწყობის მიზნით ფინანსური მხარდაჭერა. სააგენტოს მხრიდან დაფინანსდება ნერგების ღირებულების არაუმეტეს 70% და წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 2,500 ლარისა 1 ჰა - ზე
- ბაღების მოვლისთვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიწოდება ტრენინგების მეშვეობით

2. სანერგეების კომპონენტი

- სანერგე მეურნეობის მოსაწყობად და/ან არსებული მეურნეობის გაფართოების მიზნით ფინანსური მხარდაჭერა 150,000 ლარის ოდენობით;
- სარგავი მასალების გამრავლებისა და მათი სერტიფიცირებისთვის აუცილებელი ცოდნის მიწოდება ტრენინგების მეშვეობით.

⇒ აგროდაზღვევა 2016

პროექტის მიზანი:

სასოფლო სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების პროცესში არსებული რისკების შემცირება და შემოსავლების მდგრადობის უზრუნველყოფა.

ვინ შეიძლება ისარგებლოს:

- სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ჩართული პირი;
- ის პირები, რომლებიც პროექტების განხორციელების პროცესში წააწყდებიან შემდეგ რისკებს: სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისთვის).

მხარდაჭერის მექანიზმი:

- მარცვლეული, პარკოსანი, კაკლოვანი, კენკროვანი, სუბტროპიკული და ბაღჩეული კულტურების, ასევე ხეხილის და ციტრუსის შემთხვევაში სააგენტოს თანამონაწილეობა რეგისტრირებული ნაკვეთების შემთხვევაში განისაზღვრება 80% - ით
- ვაზის შემთხვევაში კი სააგენტოს თანამონაწილეობა განისაზღვრება 60% - ით

პროგრამაში ჩართული სადაზღვევო კომპანიები:

- ჯი პი აი ჰოლდინგი
- ალდაგი
- აი სი ჯგუფი
- ირაო
- არდი
- უნისონი

⇒ შეღავათიანი აგრო კრედიტი

პროექტის მიზანი: ადგილობრივი ფერმერების და სექტორში ჩართული მეწარმე სუბიექტებისთვის იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების მიწოდების გზით, პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესება.

ვინ შეიძლება ისარგებლოს:

- საქართველოს მოქალაქე სრულწლოვანი ფიზიკური პირი - 20,000 ლარიდან 75,000 ლარამდე სესხების შემთხვევაში;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირი, გარდა სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოებისა.

მხარდაჭერის მექანიზმი:

ბაღების კომპონენტი:

- კომერციული ბანკიდან დამტკიცებული სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთის თანდაფინანსება წლიური 11%-ის ოდენობით სესხის გაცემიდან 66 თვის განმავლობაში;

- კომერციული ბანკის მიერ გაცემული სესხის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობა 50%-ის ოდენობით;
- აგროლიზინგით გათვალისწინებული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება 66 თვის განმავლობაში, წლიური 12%-ის ოდენობით.

⇒ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების პროექტი

პროექტის მიზანი: მუციპალიტეტებში ახალი გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა და უმოქმედო საწარმოების რეაბილიტაცია და სანედლეულო ბაზის განვითარება.

ვინ შეიძლება ისარგებლოს:

- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი, გარდა სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოებისა
- პროექტის ჯამური ღირებულება განისაზღვრება არანაკლებ 250,000 ლარით
- განახორციელებს მინიმუმ 10% ოდენობის თანამონაწილეობას საწარმოს კაპიტალში ფულადი შენატანის სახით

მხარდაჭერის მექანიზმი:

- თანადაფინანსება შესაძლებელია 3 ძირითადი წყაროს გამოყენებით: (1) შეღავათიანი კრედიტი/ლიზინგი - პროექტის ჯამური ღირებულების 50%; (2) სააგენტოს თანადაფინანსება (გრანტის სახით) - პროექტის ჯამური ღირებულების 40%; (3) პირადი თანამონაწილეობა - 10%
- მიღებული სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება 11% ოდენობით

3. სსიპ „საქართველოს ინივაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“

სააგენტოს ქვემოთ მოცემული პროექტებით სარგებლობისთვის დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ გაეცნოთ ვებ-გვერდს: gita.gov.ge ან

დაუკავშირდეთ ცხელ ხაზზე: +995 599 986 499, ან

მიწეროთ ელ-ფოსტაზე: info@gita.gov.ge

ტექნოპარკები

გააქვთ ინოვაციური ბიზნეს იდეა? მაშინ შეგიძლიათ მიმართოთ ტექნოპარკებს, რომლებიც მიზნად ისახავენ საქართველოში ინოვაციური ბიზნეს საქმიანობის მხარდაჭერას. ტექნოპარკი მოიცავს როგორც ბიზნესის მცირე ინკუბატორებს, სასწავლო ცენტრებსა და ლაბორატორიებს, ასევე დიდ ოფისებს კომპანიებისთვის, ერთობლივ სამუშაო ადგილებსა და რეკრეაციულ სივრცეს.

ბიზნეს ინკუბატორები:

აღნიშნული წარმოადგენს ტექნოპარკის ერთ-ერთ კონკრეტულ მიმართულებას, რომელიც მიზნად ისახავს ჩართული პირების ხელშეწყობას ინოვაციური ბიზნეს იდეების წარმატებულ ბიზნესად გარდაქმნაში.

პროგრამით გათვალისწინებულია მენტორები, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს, რომლებიც სტარტაპებს გაუწევენ ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებს.

„ფაბ ლაბები“

აღსანიშნავია, რომ საქართველო პირველი ქვეყანაა ამიერკავკასიის მასშტაბით, სადაც ფუნქციონირებს ფაბლაბები, დღეის მდგომარეობით ქვეყნის მასშტაბით გახსნილია 8 სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია, მათ შორის 5 თბილისში, 1 ბათუმში, 1 ქუთაისსა და 1 ზუგდიდში.

ფაბლაბი წარმოადგენს სპეციალურ სივრცეს, რომელიც ნებისმიერ, იდეის მქონე მოქალაქეს აძლევს საშუალებას ქონდეს წვდომა თანამედროვე ტექნოლოგიებზე. ფაბლაბები აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების 3D პრინტერებით, ლაზერული მჭრელებით, ვაკუუმ ფორმირების და PCB (პლატების საბეჭდი აპარატი), რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ქვეყანაში დამზადდეს ნებისმიერი ტიპის რთული პლატები.

ფაბლაბების კონცეფცია დღეის მდგომარეობით იძლევა საშუალებას, კონკურსის შედეგად შერჩეულ 8 ჯგუფს ჰქონდეს სამუშაო სივრცე და 3 თვის განმავლობაში მიიღოს ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული ტრენინგები, მენტორშიფი და დახმარება ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით. ამასთანავე ექნებათ შესაძლებლობა მიიღოს დამატებითი 5,000 ლარიანი გრანტი.

⇒ სახელმწიფო პროგრამა „სტარტაპ საქართველო“

პროექტის მიზანი: პროექტი ხორციელდება სსიპ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ და სს „საპარტნიორო ფონდის“ ძალისხმევით და მიზნად ისახავს საქართველოში ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური დამწევი ბიზნესების (სტარტაპების) განვითარების ხელშეწყობას.

ვინ შეიძლება ისარგებლოს:

- ნებისმიერმა ფიზიკურმა პირმა, რომელსაც გააჩნია მაღალტექნოლოგიური და/ან ინოვაციური ბიზნეს იდეა;
- ნებისმიერმა დამწეებმა (სტარტაპ) კომპანიამ, რომელსაც არ გააჩნია საგადასახადო დავალიანება და რომლის მიმართაც არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

მხარდაჭერის მექანიზმი:

ინოვაციური კომპონენტი:

- თანადაფინანსების ოდენობა განსაზღვრულია 15,000 ლარიდან 100,000 ლარამდე. აუცილებელია განმცხადებლის ფულადი თანამონაწილეობა პროექტის მთლიანი ფულადი ბიუჯეტის სულ მცირე 10%-ის ოდენობით;

- „სტარტაპ საქართველო“ და განმცხადებელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არეგისტრირებენ ერთობლივ საწარმოს, რომელშიც განმცხადებლის წილობრივი მონაწილეობა შეადგენს სულ მცირე 50%-ს, საიდანაც 10%-ი არის მისი ფულადი თანამონაწილეობა, ხოლო მინიმუმ 40% ეძლევა ბიზნესიდეის სანაცვლოდ. ერთობლივ საწარმოში „სტარტაპ საქართველო“ წილი განისაზღვრება მაქსიმუმ 50%-ით;
- ბენეფიციარს ეძლევა „სტარტაპ საქართველო“ წილის კომფორტული პირობებით გამოსყიდვის უფლება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 წლის განმავლობაში;
- პროგრამა უზრუნველყოფს პროგრამის ბენეფიციარს დაფინანსების შემდგომი ინტელექტუალური რესურსებზე წვდომასა და შესაბამისი ინოვაციური ინფრასტრუქტურაზე დაშვებას.

მაღალტექნოლოგიური კომპონენტი:

- თანადაფინანსების ოდენობა განსაზღვრულია 15,000 ლარიდან 100,000 ლარამდე. განმცხადებლის ფულადი თანამონაწილეობა არ არის მოთხოვნილი;
- „სტარტაპ საქართველო“ და განმცხადებელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არეგისტრირებენ ერთობლივ საწარმოს, რომელშიც განმცხადებლის წილობრივი მონაწილეობა შეადგენს 95%-ს, ხოლო „სტარტაპ საქართველო“ წილი განისაზღვრება მაქსიმუმ 5%-ით;
- ბენეფიციარს ეძლევა „სტარტაპ საქართველო“ წილის კომფორტული პირობებით გამოსყიდვის უფლება;
- პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აგრეთვე წარმატებული პროექტების წარდგენა საერთაშორისო ინვესტორებისათვის დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.

სად დავარეგისტრიროთ საწარმო?

მნიშვნელოვნად არის გამარტივებული მეწარმე სუბიექტად რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები, შესაბამისად თუ გსურთ ბიზნესის წამოწყება, კომპანიის დარეგისტრირება სულ რაღაც 1 დღეში არის შესაძლებელი. მეწარმე სუბიექტების რეგისტრაცია არის სავალდებულო და ხორციელდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.

რეგისტრაციასთან დაკავშირებული ღირებულებები და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა დამოკიდებულია მეწარმე სუბიექტის სამართლებრივ ფორმაზე.

მეწარმე სუბიექტები:	რეგისტრაციის ღირებულება (ლარი) და ვადა	
	ერთი სამუშაო დღე	იმავე დღეს
ინდივიდუალური მეწარმე	20	50 ლარი
იურიდიული პირებისთვის (შპს, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი სოლიდ. პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება)	100	200

როგორ მივიღოთ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში?

უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად დაიხვეწა და გამარტივდა საჯარო ტენდერებში მონაწილეობის ასპექტები, რამაც ქვეყანაში არსებულ მცირე და საშუალო ბიზნესებს მისცა დამატებითი შესაძლებლობები წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის თვალსაზრისით.

დღეის მდგომარეობით შესყიდვები ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემი მეშვეობით, რომლის მისამართია: www.procurement.gov.ge. აღნიშნული პორტალი იძლევა საკმაოდ კარგ შესაძლებლობას მოხდეს ყველა არსებული ტენდერის შესახებ ინფორმაციის მიღება ერთ სივრცეში.

როგორ ვიყიდოთ სახელმწიფოსგან უძრავ-მოძრავი ქონება?

სახელმწიფო ბალანსზე არსებული ქონების პრივატიზება ხდება შესაბამისი ორგანოს მიერ. მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ ქონებას განკარგავს შესაბამისი მუნიციპალიტეტი, ხოლო სახელმწიფო ბალანსზე არსებულ ქონებას განკარგავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“.

დღეის მდგომარეობით არსებობს სახელმწიფო/მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის რამდენიმე ფორმა:

- (1) ელექტრონული ან/და საჯარო აუქციონი;
- (2) პირდაპირი მიყიდვა;
- (3) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვა და უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა.

საჯარო აუქციონი წარმოადგენს პრივატიზების ყველაზე გავრცელებულ ფორმას. მისი მიზანია სახელმწიფო ბალანსზე არსებული ქონების მაღალ ფასად გაყიდვა და შესაბამისად იგებს ის მონაწილე, რომელიც სხვებთან შედარებით მაღალ ფასს წარადგენს. გარდა ფასისა, აუქციონზე შეიძლება დაყენებული იყოს სპეციალური პირობები, რომლის დროსაც შეფასების პროცესში აღნიშნული კრიტერიუმების დაკმაყოფილება, წარდგენილ ფასთან ერთად იქნება გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

ელექტრონული აუქციონი არის ქონების პრივატიზების კიდევ ერთი სახე, რომელიც მიმდინარეობს ელექტრონულად შემდეგ ვებ გვერდზე: www.eauction.ge, ან პრივატიზაციის განმახორციელებელი სხვა უწყების ვებ გვერდზე.

აუქციონებში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა ფიზიკურ პირს, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეს. აუქციონში მონაწილეობის აუცილებელ პირობას წარმოადგეს უკან გამოუხმობი, უპირობო საბანკო გარანტიის წარგენა.

პირდაპირი მიყიდვისა და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვა და უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ფორმები არის პრივატიზების ნაირსახეობა. პირდაპირი მიყიდვის შემთხვევაში მონაწილე ვალდებულია შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმები. იმ შემთხვევაში კი, როდესაც არსებობს პოტენციური ინვესტორების მხრიდან რამდენიმე შემოთავაზება გამოყენებულია კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის წესი.

პირდაპირი მიყიდვის ორივე ფორმით შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა, გარდა იმ იურიდიული პირებისა, რომლის 25%-ზე მეტი წილის მფლობელია სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი.

დღეის მდგომარეობით სახელმწიფო ქონების პრივატიზებით ან იჯარით დაინტერესებულმა ნებისმიერმა პირმა შეიძლება დეტალური ინფორმაცია მიიღოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ცენტრებში და ასევე იუსტიციის სახლებშიც. გარდა კონსულტაციისა, იუსტიციის სახლებში, ასევე, შესაძლებელია უძრავი ქონების პრივატიზების და გაიჯარების შესახებ განაცხადის ჩაბარება და მათზე შესაბამისი პასუხის მიღება.